ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 39

"20" თებერვალი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ც. დადიანის №39-ის მიმდებარედ 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.16.02.001.012) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გუბაზისთვის" (ს/ნ. 202898123) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისში, ც. დადიანის N39-ის მიმდებარედ, 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.02.001.012) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გუბაზისთვის" (ს/ნ 202898123) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 24 იანვრის №24.94.120 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ც. დადიანის №39-ის მიმდებარედ 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.16.02.001.012) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გუბაზისთვის" (ს/ნ. 202898123) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 864 (რვაას სამოცდაოთხი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე